



საქართველოს უზენაესი სასამართლო

მოგესალმებით,

მაქვს პატივი, შეგატყობინოთ, რომ ახალი კანონის მიხედვით, საქართველოს სასამართლო სისტემაში შემოდის ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტი. ეს ცვლილება ძალზე მნიშვნელოვანია ქართული მართლმსაჯულებისათვის და მის გასაცნობად თქვენთვის გაცილებით მეტი გაკეთდება, ვიდრე ეს მოკრძალებული წერილია.

საქართველოში, ისევე, როგორც ცივილიზებული მსოფლიოს დიდ ნაწილში, სამართლიანობის პრინციპს თავად მოქალაქეები განსაზღვრავენ. ამ პროცესში თქვენთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ დაზარალებულის დამცველი პროკურორები, ბრალდებულის ადვოკატები, პროფესიონალი მოსამართლეები და სხვა პირები.

ჩვენ არ ვჩქარობთ, რადგან მიგვაჩნია, რომ ასეთი სერიოზული ცვლილებები ეტაპობრივად უნდა განხორციელდეს, რათა მოქალაქეებს არ გაუჭირდეთ მათი აღქმა, მათი გააზრება და ამ პროცესში ჩაბმა. ამიტომ გვსურს, გაცნობოთ, რომ:

- პირველ ეტაპზე ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტი იწყებს მოქმედებას თბილისში და განიხილავს მხოლოდ დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობის საქმეებს;
- ეტაპობრივად, ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტი მოიცავს მთელ საქართველოს და განიხილავს ყველა დანაშაულს, რომლისთვისაც სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა;
- ნაფიცი მსაჯული შეიძლება გახდეს საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდა 18 წელი და პირადად არ არის დაინტერესებული ამ საქმით;
- ნაფიცი მსაჯულები შეირჩევა შემთხვევითობის პრინციპის სრული და გარანტირებული დაცვით, მოსახლეობის ერთიანი სიიდან;
- თითოეული სასამართლო სხდომისთვის შეირჩევა 12 ნაფიცი მსაჯული;
- ნაფიცი მსაჯულები მოისმენენ პროკურორისა და ადვოკატის მოსაზრებებს, მოსამართლის განმარტებებს, უშუალოდ გაეცნობიან ყველა მტკიცებულებას და თავად მიიღებენ გადაწყვეტილებას ბრალდებულის დამნაშავეობისა თუ უდანაშაულობის თაობაზე;
- ნაფიცი მსაჯულების მიერ მიღებული გამამართლებელი გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება;
- ნაფიც მსაჯულს იცავს საქართველოს სახელმწიფო, ნებისმიერი ზემოქმედება ნაფიც მსაჯულზე დაისჯება კანონის სრული სიმკაცრით.

თავს აღარ შეგაწყენთ დეტალების აღწერით, თუმცა გამცნობთ, რომ ვგეგმავთ რამდენიმეთვიან საინფორმაციო კამპანიას, რომლის საშუალებითაც მოგაწვდით ინფორმაციას ყველა მნიშვნელოვან საკითხზე.

მადლობას გიხდით ყურადღებისა და ამ მოკრძალებული წერილის წაკითხვისათვის. დაინტერესების შემთხვევაში, გთხოვთ, პირადად მე გამომიგზავნოთ თქვენი კითხვები და შენიშვნები, რადგან თქვენი აზრი ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია.

პატივისცემით,

კონსტანტინე კუბლაშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე